ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“

2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ა(ა)იპ ,, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციას რომელიც წესდებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა სახის სამუშაოებს დასუფთავების, კეთილმოწყობის,გარე განათების, გამწვანების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით. ასევე ასრულებს სხვადასხვა სახის დავალებებს მოქალაქეთა საჭიროების მიხედვით მერიის დავალებიდან გამომდინარე.

სამსახურში ძირითადი საქმიანობა ხორციელდება კონკრეტული ჯგუფების მიერ. შექმნილია რამდენიმე სამუშაო ჯგუფი მათ შორის გამოიყოფა კეთილმოწყობის,გარე განათების, წყალარინების, გამწვანების და დასუფთავების ჯგუფები.

ჩვენი ორგანიზაციის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 2022 წლის 01 ოქტომბრისათვის შეადგენდა 1624760 ლარს, რომელიც მოიცავს 4 პროგრამას სადაც თანხები განაწილებულია შემდეგი ოდენობით:

1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1143000 ლარი
2. სკვერების და პარკების მოვლა პატრონობა - 197960 ლარი
3. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 267000 ლარი
4. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 16000 ლარი.

აღნიშნული პროგრამებიდან 1 ოქტომბრის მდგომარეობით ათვისებულია:

1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 840237 ლარი, აქედან ხელფასის ხვედრითი წილია 67,2%, ხოლო საქონელი და მომსახურება შეადგენს 272387 ლარს.ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების შესაძენად ,, არაფინანსური აქტივების ზრდის „ მუხლში გამოყოფილია 20000 ლარი.
2. სკვერების და პარკების მოვლა პატრონობა - ათვისებულია 147419 ლარი, საიდანაც ხელფასის ხვედრითი წილია 97%.
3. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - ათვისებულია 191422 ლარი.საიდანაც ხელფასის ხვედრითი წილია 25.8%.საქონელი და მომსახურება შეადგენს 141917 ლარს, საიდანაც 93184 ლარი მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებაა და 48733 ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.საქონელი და მომსახურების მუხლიდან შეძენილია სხვადასხვა დასახელების ელექტროსაქონელი, კაბელები, ნათურები ჩამრთველები, რელეები, ფოტოთვალები და სხვა.
4. უპატრონო ცხოველების მოვლით ღონისძიებებში გამოყოფილია 16000 ლარი, რომელიც ამ პერიოდისათვის ათვისებული არაა, რადგან აღნიშნულ საქმიანობაზე ორჯერ გამოცხადებული ტენდერი არ შედგა.მიმდინარეობს

ბაზრის დეტალური მოკვლევა და სატენდერო მასალების თავიდან მომზადება.

2022 წელს ჩვენი ორგანიზაციის ჯგუფების მეშვეობით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

წყალარინების ჯგუფი:

ჩატარდა საკანალიზაციო სისტემის რემონტი და აღდგენა შემდეგ უბნებზე:

პატარა ხარაგაულში ბადრი ეჯიბაძის სახლთან(30 მეტრის სიგრძე), დაბის იუსტიციის სახლთან(15 მეტრზე), ზურაბ იაშვილის სახლთან(10 მეტრზე), ყოფილი საავადმყოფოს შენობასთან (10 მეტრზე), პატარა ხარაგაულში დავით ჩერქეზიშვილის სახლთან(10 მეტრზე), კრედო ბანკის წინ ქუჩის გადაკვეთაზე შეიცვალა დაზიანებული საკანალიზაციო მილი(10 მეტრზე), ხოლოს ცენტრალური გზის სამუშაოების გამო კრედო ბანკის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარეს გადატანილი იქნა კანალიზაციის ქსელი 100 მეტრის სიგრძეზე. ასევე 60 მეტრ სიგრძეზე მოეწყო კანალიზაციის მილი სოლომონ მეფის ქუჩაზე ი. ლურსმანაშვილის სახლთან.სოფ დიდვაკეში შეიცვალა 30 მეტრის სიგრძის საკანალიზაციო სისტემა, აღდგენილ იქნა სოფ ღორეშაში საკანალიზაციო სისტემა საბავშვო ბაღთან.

ასევე ჩვენს მიერ განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები:პატარა ხარაგაულის უბანზე მოხდა სანიაღვრე არხების ცხაურების შეკეთება, ინეზარდას წყაროსთან მოეწყო ბორდიურები,დიდვაკის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მოეწყო გარე კიბე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მოეწყო შესასვლელი გარე კიბე თავისი გადახურვით, .სოფელ გედსამანიაში დაიხურა საცხოვრებელი სახლი, რომელიც სტიქიისაგან იყო დაზიანებული.

ტრანსპორტის ჯგუფი:

ჩვენი ორგანიზაციის კუთვნილ ავტოფარეხში გეგმიურად მიმდინარეობს ორგანიზაციაზე რიცხული ავტომანქანების შეკეთება რათა რთული რელიეფიდან გამომდინარე არ მოხდეს ნაგავშემგროვებელი ავტომანქანების მწყობრიდან გამოსვლა და დასუფთავების პროცესის შეფერხება.ტრანსპორტის ჯგუფის მეშვეობით ხდება საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხების დაზოგვა ორგანიზაციისათვის, რადგან როგორც მოგეხსენებათ ტრანსპორტის შეკეთების მომსახურებები საკმაოდ ძვირადღირებული ფუფუნებაა. ჩვენს მიერ იშვიათად ხდება მომსახურების შესყიდვა, კერძოდ ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩასატარებელი სამუშაო ჩვენს ძალებს აღემატება.

ორგანიზაციის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

ჩხერის ციხეზე, სოფელ წიფაში, კიცხში, სოფელ დიდვაკეში (მინი სტადიონზე და სკვერში) მოეწყო გარე განათება. თანამედროვე გირლანდებით მოეწყო განათება მერიის წინ მდებარე სკვერში და დაბაში არსებულ ორ ხიდზე. ასევე შეღებილ იქნა

დაბაში არსებული ხიდის მოაჯირები.შეიღება უბისა - ღორეშის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოაჯირი..

გაწმენდილ იქნა გზები სოფ ზვარეში ჭენჭეხის უბანში,ბორითში რუხაძეების უბანში, სოფელ ვახანში, სოფ. ქვებში. გაწმენდილ იქნა მდინარე ჯიხველას და რახიელას კალაპოტები.გაწმენდილ იქნა საღანძილის სკოლის ეზო ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან.9 აპრილის სკვერში და მერიის წინ მდებარე სკვერში დაირგო მწვანე ნარგავები.

ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, კერძოდ შეიცვალა კარები პირველი მოადგილის ოთახში, ფანჯრები შეიცვალა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში, ელ. გაყვანილობის სისტემა შეკეთდა ელექტრო გაყვანილობის სისტემა მერიასა და საკრებულოს ოთახებში.მერიის ადმინისტრაციულ შენობის მეორე და მესამე სართულზე მოპირკეთდა იატაკი.

ასევე შესრულებულ იქნა სხვადასხვა სახის დავალებები მოქალაქეების საჭიროებებიდან გამომდინარე. რამდენიმე ლოკაციაზე მოიჭრა ხეები რომლების საფრთხეს უქმნიდა როგორც მოქალაქეებს ასევე კომუნიკაციებს და კერძო საკუთრებას.

დღეისათვის მუშა მდგომარეობაშია ორი ერთეული მძიმე ტექნიკა, გრეიდერი და კლასის მარკის თვლიანი ტრაქტორი, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას გადმოეცა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

სახელმწიფო შესყიდვების კუთხით ვახორციელებთ როგორც გამარტივებულ შესყიდვებს ასევე ელექტრონულ ტენდერებს, შესასყიდის საქონლის თუ სამუშაოს ღირებულებიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით ელექტრონული ტენდერით შესყიდულია შემდეგი საქონელი და მომსახურება:

თოვლისგან გზების გაწმენდა - 18200 ლარი

საბურავები - 9420 ლარი

იზოლირებული კაბელი - 9340 ლარი

გასანათებელი მოწყობილობები და ელ. ნათურები - 36574 ლარი

ტრაქტორების დაქირავება ოპერატორთან ერთად - 28800 ლარი(ძირითადად ზამთრის სეზონზე)

სამშენებლო მასალები - 9176 ლარი

ტრაქტორის საბურავები - 6960 ლარი

კონსოლიდირებული ტენდერი:

დიზელი - 113928 ლარი

ბენზინი - 25020 ლარი

პირბადეები - 138 ლარი

საბურავები - 2068 ლარი(ნივა, ვილისი)

ძრავის ზეთები - 3936 ლარი

აკუმულატორები - 1636 ლარი

ნაგვის კონტეინერები - 19980 ლარი (გაფორმებულია ხელშეკრულება 36 ერთეულზე, მოგვაწოდებენ ახალ წლამდე)

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის მერიასთან,საკრებულოსთან და მზად ვართ მომავალშიც ჯეროვნად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობები მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

აქტიურად ვემზადებით ზამთრის სეზონისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციამ შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქციების დროული და სრულყოფილი შესრულება გზების გათოვლისა და გაწმენდის სამუშაოების კუთხით. ამ მიზნისათვის პირველ რიგში გვესაჭიროება და ვემზადებით ტექნიკური მარილის შესაძენად, რომელსაც დავასაწყობებთ სეზონზე გამოსაყენებლად.

ა.(ა)ი.პ. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის

დირექტორი ზაზა კაციტაძე